**პროექტი „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF)**

**„ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“**

## თემატური სემინარი გარემოს დაცვის, სოციალურ და მმართველობის მოთხოვნებზე

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2021-2027 წლების დღის წესრიგი გარემოს დაცვასა და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებისათვის საკვანძო პრიორიტეტად განსაზღვრავს თანამედროვე, რესურსდამზოგი, სუფთა და ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობას, რაც განაპირობებს ეკონომიკის გამწვანებას და ბუნებრივი რესურსების უფრო მდგრად გამოყენებას, ევროპული „მწვანე შეთანხმების“ შესაბამისად. მდგრადი განვითარება კეთილ ზრახვებზე მეტია. იგი მოიაზრებს ხელშესახები, პრაქტიკული გეგმის შექმნას, რომელიც რეალურ შედეგებამდე მიგვიყვანს. მიღწევა მხოლოდ კლიმატის ცვლილების, მრავალფეროვნებისა და ინფორმაციის გასაჯაროების საკითხებს არ მოიცავს. საუბარია ამ პრინციპების ყველა ბიზნესსაქმიანობაში ჩანერგვაზე, ინვესტიციით დაწყებული და მდგრადი ინოვაციით დამთავრებული. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) სფერო გულისხმობს კომპანიებში ინვესტირებისას ისეთი ასპექტების ერთობლიობის გათვალისწინებას, როგორიცაა გარემოს დაცვის, სოციალური და კორპორაციული მმართველობის საკითხები. ახალ ბიზნესგარემოს ახლებური აზროვნება სჭირდება. ისეთი, რომელიც ESG მაჩვენებლებს ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში ჩანერგავს და მაქსიმალურ გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების დროს ინვესტორთა მზარდი რაოდენობა ითვალისწინებს ESG ელემენტებს, რის გამოც ESG-ს მნიშვნელოვნება დღითიდღე იზრდება როგორც სასესხო, ასევე სააქციო კაპიტალის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

გაეროს განვითარების პროგრამის „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF), რომელსაც შვედეთის მთავრობა აფინანსებს, ქვეპროექტის „ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“ ფარგლებში, საქართველოს მთავრობას ცირკულარული ეკონომიკის ეროვნული გზამკვლევის შემუშავებაში ეხმარება. ქვეპროექტს ახორციელებს სბმკ „ორქისი“. მას უძღვებიან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი სოლომონ პავლიაშვილი და ცირკულარული ეკონომიკის საერთაშორისო ექსპერტი, სბმკ „ორქისი“-ს გუნდის ხელმძღვანელი დოქტორი დარიუშ პრასეკი, რომელთაც ეხმარება საქართველოს ეკონომიკის, მდგრადი განვითარების, გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის საკითხებში ღრმად ჩახედული ადგილობრივი ექსპერტების გუნდი.

ცირკულარობის გზამკვლევის შემუშავება და განხორციელება თანამშრომლობითი პროცესია, რომელშიც მრავალი მხარის, განსაკუთრებით კი საკვანძო სამთავრობო უწყებების, მათ შორის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს ჩართულობა და მონაწილეობაა საჭირო, რათა საქართველოსთვის ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის სათანადო ხედვა, მიზნები და ხელშესახები ქმედებები განისაზღვროს.

საკვანძო დაინტერესებულ მხარეებში საერთო აზრის ჩამოყალიბების, მათი გაძლიერების, გზამკვლევის შემუშავებასა და განხორციელებაში მათი ინფორმირებული და მიზანმიმართული მონაწილეობისათვის, ქვეპროექტი ითვალისწინებს მათი შესაძლებლობის განვითარებას ცირკულარული ეკონომიკის, გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის (ESG) და მწვანე სახელმწიფო შესყიდვების სფეროებში. კერძოდ, სამიზნე სფეროებში საბაზისო ცოდნის გადასაცემად, დაგეგმილია ხუთი თემატური სემინარი, რომლებიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ცირკულარული ეკონომიკა: (i) ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა; (ii) სამრეწველო ხანის მემკვიდრეობა; (iii) არსებული ტენდენციები - პრობლემები და შესაძლებლობები; (iv) ევროკავშირის სამოქმედო გეგმები; (v) ცირკულარული ეკონომიკის ბიზნესმოდელები; (vi) ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობისათვის საკვანძო დაინტერესებული მხარეები; (vii) ბიზნესისა და პოლიტიკის შემქმნელების როლი ცირკულარულ ეკონომიკაში; (viii) საკვანძო რეკომენდაციები ბიზნესის ხელმძღვანელებისა და პროექტების ინიციატორებისათვის; (ix) ცირკულარული გადაწყვეტილებების წარმატებული მაგალითები.
- გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის სფერო (ESG): (i) ESG-ს ისტორია და ძირითადი პრინციპები; (ii) ESG კაპიტალდაბანდების პროცესში; (iii) საბჭოს როლი და ESG; (iv) ESG და ბიზნესსტრატეგია; (v) ESG და რისკი; (vi) კორპორაციული მმართველობა და ESG; (vii) ESG ანგარიშგება; (viii) მდგრადი გარდაქმნის გზა; (ix) ESG, როგორც ცირკულარული ეკონომიკის ინსტრუმენტი.
- მწვანე სახელმწიფო შესყიდვა: (i) მწვანე საჯარო შესყიდვის სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩო; (ii) ბაზრის ტევადობის გააზრება და ხარჯთსარგებლიანობის შეფასება; (iii) გარემოსდაცვითი სტანდარტების შემოღება შესყიდვების სფეროში; (iv) მწვანე საჯარო შესყიდვების მონიტორინგი; (v) მწვანე საჯარო შესყიდვების როლი ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობაში.

მეორე თემატური სემინარი ეძღვნება ინვესტირების პროცესთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის მოთხოვნებს. ძირითადი ყურადღება დაეთმობა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სათანადო ESG რისკების გამოვლენა, ESG მაჩვენებლების მხარდაჭერა მართვის სისტემებით და დაფინანსების ხელშეწყობა ESG საკითხებზე თანმიმდევრული და სანდო ანგარიშგებით.